| „დინამო“ | «ДИНАМО» |
| --- | --- |
| № ოთარ გაბელია | № Отар Габелия |
| № ახრიკ ცვეიბა | № Ахрик Цвейба |
| № ალექსანდრე ჩივაძე | № Александр Чивадзе |
| № სოსო ჭედია | № Сосо Чедия |
| № მალხაზ არზიანი | № Малхаз Арзиани |
| № ზაურ სვანაძე | № Заур Сванадзе |
| № ნუკრი კაკილაშვილი | № Нукри Какилашвили |
| № თენგიზ სულაქველიძე | № Тенгиз Сулаквелидзе |
| № ოთარ კორღალიძე | № Отар Коргалидзе |
| № გია გურული | № Гия Гурули |
| № რამაზ შენგელია | № Рамаз Шенгелия |
| № თეიმურაზ ქეცბაია | № Теймураз Кецбая |
| № მამუკა ფანცულაია | № Мамука Панцулая |
| № ზაზა რევიშვილი | № Заза Ревишвили |
| № გურამ აჯოევი | № Гурам Аджоев |
| № გელა კეტაშვილი | № Гела Кеташвили |
| გუნდის კაპიტანი ა. ჩივაძე | Капитан команды А. Чивадзе |
| უფრ. მწვრთნელი გ. ზონინი | Ст. тренер Г. Зонин |

| „ლოკომოტივი“ | «ЛОКОМОТИВ» |
| --- | --- |
| № პლამენ ნიკოლოვი | № Пламен Николов |
| № ანტონ ველკოვი | № Антон Велков |
| № პაველ დოჩევი | № Павел Дочев |
| № ალექსანდრ დუდოვი | № Александр Дудов |
| № დიმიტრ ვასევი | № Димитр Васев |
| № ნიკოლაი ტოდოროვი | № Николай Тодоров |
| № ალექსანდრ ბონჩევი | № Александр Бончев |
| № კირილ მეტკოვი | № Кирил Метков |
| № გოშო პეტკოვი | № Гошо Петков |
| № ხრისტო ზლატინოვი | № Христо Златинов |
| № სტანჩო სტოევი | № Станчо Стоев |
| № ნასკო ჟელევი | № Наско Желев |
| № ვლადიმერ ლალოვი | № Владимир Лалов |
| № ივან სვოიანოვი | № Иван Своянов |
| № ივან ვასილევი | № Иван Василев |
| № იულიან ნაკოვი | № Юлиан Наков |
| გუნდის კაპიტანი ს. სტოევი | Капитан команды С. Стоев |
| უფრ. მწვრთნელი ა. ჩაჩევსკი | Ст. тренер А. Чачевски |


Пресс-центр Тбилисского стадиона «Динамо»
имени В. И. Ленина

Составитель О. НОЗАДЗЕ

Техредактор А. Дарахвелидзе    Выпускающий А. Самхарадзе

№ 18 (210)    ფასი 20 კაპ.

შეკვ. 2279.    ტირაჟი 10.000.    უე 00460

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14


# ფეხბურთი

# Футбол

უეფა-ს თასი    Кубок УЕФА

«დინამო»
თბილისი
•
„ლოკომოტივი“
სოფია

19⁰⁰
30.09
1987

«ДИНАМО»
ТБИЛИСИ
•
«ЛОКОМОТИВ»
СОФИЯ

НАШИ В ЕВРОКУБКАХ

ДОБРЕ ДОШЛИ В ТБИЛИСИ, СКЪПИ ГОСТИ—ФУТБОЛИСТИ
ОТ ДРУЖЕСТВЕНА БЪЛГАРИЯ!

სალამი ძვირფას სტუმრებს — მეგობრული ბულგარეთის ფეხბურთელებს!

**ორი** კვირის წინ — 16 და 17 სექტემბერს — გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების სასტარტო შეხვედრები — პირველი რაუნდის 64 მატჩი. აი, როგორ ითამაშეს საბჭოთა და ბულგარელმა კლუბებმა:



ჩემპიონთა თასი (მეთექვსმეტედფინალი)

„დინამო" კიევი — „გლაზგო რეინჯერსი" გლაზგო (შოტლანდია) — 1:0
„ბაიერნი" მიუნხენი (გფრ) — „სრედეცი" (სოფია) — 4:0



თასების თასი (მეთექვსმეტედფინალი)

„დინამო" მინსკი — „გენჩლერბირლიგი" ანკარა (თურქეთი) — 2:0
„ვიტოშა" სოფია — ოფი (საბერძნეთი) — 1:0



უეფა-ს თასი (ოცდამეთორმეტედფინალი)

„სპარტაკი" მოსკოვი — „დინამო" დრეზდენი (გდრ) — 3:0
„ლოკომოტივი" სოფია — „დინამო" თბილისი — 3:1
„ზენიტი" ლენინგრადი — „ბრიუგე" (ბელგია) — 2:0
„გრასჰოპერსი" ციურიხი (შვეიცარია) — „დინამო" მოსკოვი — 0:4
„ცრვენა ზვეზდა" ბელგრადი (იუგოსლავია) — „ტრაკია" პლოვდივი — 3:0

## 17 სექტემბერი, ვასილ ლევსკის სტადიონი



**დღევანდელი** მეტოქენი — სოფიის „ლოკომოტივი" და თბილისის „დინამო" გათამაშების პირველ მატჩში, ორი კვირის წინ, ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთის დედაქალაქის მთავარ სტადიონზე, ვასილ ლევსკის სახელს რომ ატარებს. დინამოელთა ერთობ გადახალისებულმა გუნდმა, რომელშიც მთლიანად შეიცვალა მწვრთნელთა შემადგენლობა (გურამ ზონინი, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ გუცაევი) კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ყოველ შემთხვევაში ტაქტიკურად გააზრებულად მოქმედებდა. მოთამაშეები მონდომებას არ იშურებდნენ. და თუ დინამოელებმა წააგეს ბრძოლა, ამაში ბრალი რამდენადმე ჩვენს დაცვას, მეტწილად კი... მატჩის არბიტრს ვანო ვეიოვიჩს მიუძღვის. იუგოსლაველმა მსაჯმა თბილისელთა კარში ზედიზედ ორი საეჭვო 11-მეტრიანი დანიშნა გაბელიას (მან საკმაოდ ნერვიულად ჩაატარა თამაში) შეჯახებისას ჯერ სტოევთან, მერე კი მეტკოვთან, თუმცაღა არბიტრის სასტვენი დუმდა, როდესაც მასპინძლებმა თავიანთ საჯარიმოში აშკარად მოცელეს გარლევავაზე გასული კორიდალიძე. პირველი პენალტი ლოკომოტიველებმა (ზლატინოვი) 45-ე წუთზე გაიტანეს, მეორე (სტოევი) — 50-ზე. ამას მოჰყვა შენგელიას, დღეს ასე იშვიათმომცემი ბურთი (75-ე წუთზე). გოლებს წერტილი დაუსვა ტოდოროვმა (83-ე წუთზე). 1:3 — საკმაოდ შთამბეჭდავი პასივია. და მაინც არ ვკარგავთ იმედს, თუმცა ბრძოლა და გათამაშების მომდევნო წრეში გასვლა, უნდა ვიფიქროთ, იოლი საქმე არ იქნება.

როგორც ჩანს ოპტიმიზმს არ კარგავს თბილისელ დინამოელთა ახალი ხელმძღვანელი გ. ზონინიც, რომელმაც სოფიის მატჩის შემდეგ განაცხადა: „გაწბილებული ვარ ასეთი სუსტი მსაჯობით. ვეცდებით თბილისში საპასუხო შეხვედრაში გამარჯვებისათვის და ტურნირის მომდევნო წრეში გასვლისათვის ვიბრძოლოთ".





## პეტრიწონი — ქართველთა სავანე

ბულგარეთის მიწა-წყალზე მდებარე პეტრიწონის მონასტერი, ანუ ბაჩკოვოს სავანე, დღეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი, ოთხი ოცეული წლის წინ კი მის შესახებ ცოტა ვინმემ თუ იცოდა დაწვრილებით. და აი 1949 წელს მან იწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია, რომელშიც შედიოდნენ აკაკი შანიძე, ნიკო ბერძენიშვილი და ოთარ გაგნიეშვილი. ისინი დიდი მონდომებით და მეცნიერებით გაეცნენ ძველ ქართულ არქიტექტურულ ნიმუშებს, ხელნაწერებს, სხვადასხვა ნივთებს, იქ დასვენებულ ხატს, გუმბათოვან-გვირგვინებულ ჯვარს.

1968 წელს ჩვენი წინაპრების ნაკვალევზე პეტრიწონის მოსახილავად სიმონ ყაუხჩიშვილი და აკაკი ურუშაძე გაემგზავრნენ. ა. ურუშაძემ დაწვრილებით აღწერა ეს მოგზაურობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ დასტამბულ წიგნში „ქართული კულტურული კერა ბულგარეთში", საიდანაც ბევრ საგულისხმოს ვიგებთ.

„პეტრიწონის ქართული მონასტერი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის პლოვდივის ახლოს, როდოპის მთის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ასენიცის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 400 მეტრზე მდებარეობს. მონასტერი მაღალი გალავნითაა შემოვლებული და შორიდან ნამდვილ ციხე-სიმაგრეს გავს. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისტორიაში, კერძოდ, ქართული განათლებისა და მწერლობის ისეთ ცენტრებთან ერთად, როგორიცაა ივერის მონასტერი ათონის მთაზე საბერძნეთში, სვიმონ საკვირველმოქმედის სავანე შავ მთაზე ანტიოქიაში და, ბოლოს, პალესტინის ჯვრის მონასტერი, პეტრიწონის სავანეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

პეტრიწონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტერი 1083 წელს დააარსა ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის კარზე აღზევებულმა ტაოელმა ერისთავებმა — ძმებმა გრიგოლ და აბას ბაკურიანისძეებმა. გრიგოლ ბაკურიანი დიდხანს ოცნებობდა ასეთ მონასტერზე და სანწადელს მხოლოდ სიბერის ჟამს მიაღწია. მან მონასტერში 50 განათლებული ქართველი ბერი დაამკვიდრა, რომელთა უმრავლესობა საქართველოდან გაიწვია. პეტრიწონის სავანესთან გრიგოლმა დაარსა სემინარია, რომელსაც იმხანად მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია.

პეტრიწონის სავანეს მეშვეობით იმთავითვე ხორციელდებოდა ცხოველი ურთიერთობა ქართველებსა და ბულგარელებს შორის.

სურათებზე: პეტრიწონის ღვთისმშობლის ტაძარი; გრიგოლ ბაკურიანისძის საძვალე.

# БОЛГАРСКИЙ СПОРТ

НАЧАЛО развитию физической культуры и спорта в Болгарии положило создание в стране первых гимнастических обществ в 90-х годах прошлого столетия. Конечно, они сильно разнились от спорта в современном понимании, но именно «Борец», «Сокол», «Младеж» и другие заложили фундамент будущих спортивных успехов. За годы народной власти Болгария стала одной из развитых спортивных держав мира. Любопытно вспомнить, что в 1938 году в Болгарском атлетическом союзе, объединявшем представителей разных видов спорта, было всего 482 члена, из них... 4 женщины. Одним словом, как образно заметил софийский журналист Любомир Янов, «вся спортивная Болгария могла свободно разместиться в нескольких автобусах». Ну а сегодня в стране только футболом занимается 200 тысяч человек. Вот ещё одно интересное сравнение: на I Олимпиаду 1896 года в Афины Болгария послала ...всего трёх участников, один из которых в турнире гимнастов занял 5-ое место при 6-ти участниках. А вот в Олимпиаде 1952 года участвовал уже 71 болгарский спортсмен и боксёр Борис Георгиев принёс стране первую олимпийскую медаль-серебряную. Первое олимпийское «золото» было завоёвано в Мельбурне борцом Николаем Станчевым, который, кстати, выиграл по очкам у грузинского борца Георгия Схиртладзе...



Наредкость урожайным стал для болгарских спортсменов нынешний год. Достаточно сказать, что совсем недавно атлеты Болгарии отлично выступили в чемпионатах мира по легкой и тяжелой атлетике, спортивной гимнастике. Штангисты завоевали в Остраве 5 золотых наград, «золото» привезли из Варны «художницы» Б. Панова и её подруги по групповым упражнениям. Но особенно отличилась в Риме знаменитая прыгунья в высоту Степка Костадинова, установившая новый мировой рекорд.

# ФУТБОЛ НАШИХ ГОСТЕЙ

ВПЕРВЫЕ советские и болгарские футболисты встретились в 1940 году. На софийском стадионе «Юнак» местная «Славия» принимала московский «Спартак», проиграв со счётом 1:6. Во втором матче, который судил популярный ленинградский арбитр Николай Усов, против спартаковцев играла сборная Софии. Москвичи вновь победили убедительно — 7:1. Спустя 4 года по инициативе выдающегося деятеля международного коммунистического и рабочего движения, большого друга советского народа Георгия Димитрова гостями Болгарии стали футболисты московского «Торпедо», а в конце 40-ых годов на товарищеские матчи приехали сюда футболисты «Шахтёра».

На олимпиаде 1952 года в первом же матче встретились друг с другом сборные СССР и Болгарии. Дополнительное время принесло трудную победу нашей команде — 2:1 (голы забили Колев, Бобров и Трофимов). На Играх в Мельбурне болгары с тем же счётом уступили чемпиону — сборной СССР, завоевав «бронзу», а в олимпийском Мехико—68 выиграли «серебро», проиграв в финале команде Венгрии со счётом 0:1. Успехи болгарского футбола в чемпионатах мира более скромны.



Г. Аспарухов



И. Колев

Наиболее известные футбольные клубы страны «Левски-Спартак», «Септемврийско знаме» (ныне «Витоша») и «Славия», наиболее популярные футболисты разных лет С. Божков, М. Манолов, К. Ракаров, И. Колев, П. Панайтов, Г. Найдёнов, Д. Якимов, И. Шаламанов, Г. Аспарухов, П. Жеков, Х. Бонев, Н. Котков — футболист № 1 софийского «Локомотива» за все годы существования этого клуба.

НАШ сегодняшний соперник-команда софийского «Локомотива» по два раза участвовала во всех трёх европейских турнирах, проведя только в розыгрыше Кубка УЕФА 13 встреч (5 побед, 3 ничьи, 5 поражении, разность мячей 21—18). «Локомотив» является четырёхкратным чемпионом Болгарии, в прошлом розыгрыше команда заняла 4-ое место. Нынешний сезон «Локомотив» начал отлично, одержав 5 побед в 5 матчах, однако потерпев затем крупное поражение, лишился лидерства.

მხიარული სარდაფი

# გაბროვო — სიცილის დედაქალაქი

უყვართ თუ არა ბულგარელებს ხუმრობა, იუმორი?..

რა გულუბრყვილო შეკითხვაა! მაშ სად მდებარეობს გაბროვო, რომლის მცხოვრებლები მომჭირნეობის მიზნით... კუდს ჭრიან კატას (რათა უფრო სწრაფად შემოვიდეს ოთახში, რომ სიცივე ნაკლები გავიდეს გარეთ), მწვანე სათვალეს უკეთებენ ცხენს (რათა გამხმარ-გაყვითლებული თივა არომატული და მწვანე ბალახი ეგონოს), საათს აჩერებენ ღამით რათა მისი მექანიზმი არ გაცვდეს)...





დიახ, ეს პატარა ქალაქი (მასში 90032 ადამიანი ცხოვრობს და მოსახლეობის რაოდენობით მე-14 ადგილზეა თავის ქვეყანაში) ნამდვილად ბულგარეთშია. ცნობილია ისიც, რომ გაბროვო კარგა ხანია აღიარებული არა მარტო ბულგარეთის, არამედ მსოფლიო იუმორის დედაქალაქად. რა ვიცით — ასე ამტკიცებენ თვითონ ბულგარელები! ყოველ შემთხვევაში, სწორედ გაბროვოში არსებობს ჩვენს პლანეტაზე ერთადერთი „იუმორისა და სატირის სახლი", ეს ჭეშმარიტი... „სიცილის ლუვრი". მსოფლიოში ყველაზე მხიარულ სახლს ასეთი მრავლისმეტყველი წარწერა ამშვენებს: „მსოფლიო გადარჩა, იმიტომ რომ იცინოდა!.." სხვათაშორის, გაბროვოში ორ წელიწადში ერთხელ იმართება იუმორის ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი, რომლის ლაურეატები — სიცილის დიდოსტატები — საჩუქრად ღებულობენ მეტად საპრესტიჟო პრემიებს — „ეშმაკ პეტრეს" და „ოქროს ეზოპს".





ბულგარული იუმორი



# ვარსკვლავი იყო მოედანზე...

**ტანმაღალი**, წარმოსადეგი, ძლიერი და მოქნილი, ამასთან მეტად თავმდაბალი და გულისხმიერი — ასეთი ახსოვთ ფეხბურთის მოყვარულებს გიორგი ასპარუხოვი.

ფეხბურთის ეს მომავალი ვარსკვლავი სოფიის „ლევსკის“ ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელმა აღმოაჩინა. 17 წლის გ. ასპარუხოვი ჭაბუკთა ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. ორიოდე სეზონის შემდეგ კი ნიჭიერი ფეხბურთელი უკვე ქვეყნის მთავარ გუნდში გამოდიოდა. ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელს ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა მიანდეს. 1965 წელს გ. ასპარუხოვი ბულგარეთის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა, იგი წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს, ხოლო „ფრანს-ფუტბოლის“ ტრადიციული რეფერენდუმში მონაწილე ჟურნალისტებმა ბულგარელი ფეხბურთელი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს.

სამწუხაროდ, ფეხბურთის ეს დიდი, მოკამკამე ვარსკვლავი ნაადრევად ჩაქრა — გიორგი ასპარუხოვი საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა ნიკოლა კოტკოვთან ერთად.

— ასპარუხოვის დაღუპვის ამბავი, შეიძლება ითქვას, მთელმა ბულგარეთმა მწვავედ განიცადა — გაიხსენეს ამასწინათ ჩვენმა ცნობილმა კინორეჟისორებმა, „ქართულ-ბულგარული“ ოჯახის წარმომადგენლებმა, ცოლ-ქმარმა ნელი ნენოვამ და გენო წულაიამ. — გიორგის ახლოს ვიცნობდით, ვმეგობრობდით მასთან, სოფიაში ხშირად ჩასვლისას მის ყოველ მატჩს ვესწრებოდით, ასე განსაჯეთ, ასპარუხოვის ვარჯიშსაც დავესწრებოდით რამდენჯერმე ვასილ ლევსკის სტადიონზე, რომლის შორიახლოს ნენოვების სახლი მდებარეობს. გულშემატკივრები ასპარუხოვს მეტსახელად „გუნდი“-ს ეძახდნენ და იგი მინდორზე მართლაც... მთელი გუნდი იყო. შესანიშნავი სპორტსმენი გახლდათ — ფეხბურთის ჭეშმარიტი ვარსკვლავი...





ამ სურათებზე აღბეჭდილია ბულგარელ ქალ ფეხბურთელთა — „ბუცებიანი ამაზონკების“ — თამაშის მომენტები.

# მინდორზე მხოლოდ ქალებია



რა დასამალია, სუსტი სქესის წარმომადგენელთა ფეხბურთზე პირველად ცოტა არ იყოს ეჭვის გრძნობით მივდიოდით. აი მხატვრული ტანვარჯიში გასაგებია, კალათბურთიც, ფრენბურთიც, თუ გნებავთ, მარათონული რბენაც, მაგრამ... ქალთა ფეხბურთი? სიცილ-ხარხარისთვის და სამასხაროდ თუ წავალ მხოლოდ!

ასე იყო იმ დღესაც ბულგარეთის დედაქალაქ სოფიის მთავარ სტადიონზე ვასილ ლევსკის სახელს რომ ატარებს. მწვანე მინდორზე საასპარეზოდ ნამდვილ საფეხბურთო ფორმაში გამოწყობილი ქალები გამოვიდნენ. სეირის საყურებლად მოსულნი უკვე... მეათე წუთზე გაოცებულნი დარჩნენ: ქალები ისეთი მონდომებითა და ჟინით, ისე ოსტატურად თამაშობდნენ, რომ წამდაუწუმ ტაშსა და მქუხარე აპლოდისმენტებს იმკიდნენ. აქა-იქ შეძახილებიც გაისმა: „ურაჰ, ქალებო!“, „აი ეს არის ფეხბურთი!“, „კაცებო, ისწავლეთ ქალებისაგან ბურთის თამაში!“.

მსაჯის ფინალურ სასტვენზე არცერთი გულშემატკივარი არ დაძრულა სახლისაკენ. სოფიელებს მოეწონათ ქალთა ფეხბურთი. მალე მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ვარნელმა ფეხბურთის მოყვარულებმაც იხილეს — ცნობილ კურორტზე პირველი ოფიციალური ტურნირი გაიმართა.

# «ОКРИМ»

15 СЕНТЯБРЯ в Москве был подписан контракт между объединениями «Совинтерспорт» и «Дорна мэнеджмент» (истернюроп лимитед) по спонсорству шести советских команд — участниц Кубков УЕФА на сезон 1987—1988 гг.

Спонсором этих команд — «Динамо» (Киев), «Динамо» (Минск), «Спартак» (Москва), «Динамо» (Москва), «Динамо» (Тбилиси) и «Зенит» (Ленинград) — будет итальянская промышленная фирма «Окрим спа» из Кремоны, имеющая деловые связи с советскими организациями. Все эти шесть команд будут выступать с одним и тем же символом «Окрим» на протяжении всего сезона. Впервые контракт по глобальному спонсорству заключен для всех команд одной страны, одновременно выступающих в Кубках УЕФА, что явилось результатом серьезного сотрудничества между объединениями «Совинтерспорт» и «Дорна мэнеджмент групп».

Средства, полученные от спонсорства, будут использованы для развития массового футбола в СССР.

(ТАСС).



იპოვე 10 შეცდომა მეორე სურათში.



მსაჯები:
რ. მატუსიკი,
რ. ლისკა,
მ. მურერი
(ყველა — ჩეხოსლოვაკია)

უეფა-ს კომისარი:
ლ. რილსკი
(პოლონეთი)



**СУДЬИ:**
**Р. Матусик,**
**Р. Лиска,**
**М. Мурер**
**(все — Чехословакия)**

**КОМИССАР УЕФА:**
**Л. Рилски**
**(Польша)**



ძველი პლოვდივის უბნები ძალიან ჰგვანან ჩვენს თბილისს, კერძოდ ძველი მეტეხის ციხის მიდამოებს.